პრეზიდენტ დიტერ უხთდორფის მიერ
პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩეველი

ღვთის სიტყვა შვილების მიმართ

წმინდა წერილი გვეუბნება, რომ პირველი, რაც ღმერთმა გააკეთა მას შემდეგ, რაც შექმნა ქალი და მამაკაცი - ესაუბრა მათ.[1] მას ჰქონდა უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია და ძვირფასი რჩევები მათთვის. მისი მიზანი იყო არა მათი დამძიმება ან დამწუხრება, არამედ მათი გამღოლა ბედნიერებისკენ და მარადიული დიდებისაკენ.

და ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. იმ დღიდან ღმერთი აგრძელებს საუბარს თავის შვილებთან. ყოველ თაობაში მისი მოსწავლეები მის სიტყვებს ინახავდნენ, უფრთხილდებოდნენ და სწავლობდნენ. ამ სიტყვებს აფასებენ, ვინც ეძიებენ ღვთის ნებას და ისინი მოწმობენ იმ ჭეშმარიტებაზე, რომ „უფალი ღმერთი არასდროს არ მოიმოქმედებს არაფერს ისე, რომ არ გააცნოს თავისი საიდუმლოებანი საკუთარ მსახურებს, წინასწარმეტყველებს“.[2]

დასაბამიდანვე არსებობდა ასეთი ნიმუში და იგი დღესაც გრძელდება. ეს არ არის უბრალოდ ბიბლიური ლამაზი ამბავი; ეს არის ღვთის მიერ თავისი შვილებისადმი აუცილებელი გზავნილების გადმოცემის დაწესებული ხერხი. იგი ჩვენ შორის ირჩევს ინდივიდუალურ პირებს, მოუხმობს მათ, იყვნენ წინასწარმეტყველები და გადასცემს მათ სიტყვებს, რომლებიც მათ უნდა თქვან, რომლებიც ჩვენ უნდა მივიღოთ, „როგორც მისი ბაგიდან გამოსულნი“.[3] მან განაცხადა: „გინდა ჩემი ხმით ითქვას და გინდა ჩემი მსახურების ხმით - ეს ერთი და იგივეა“.[4]

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდებული, შემაგულიანებელი და იმედის მომცემი აღდგენის გზავნილი - ღმერთი არ არის ჩუმად! მას უყვარს თავისი შვილები. მან არ მიგვატოვა სიბნელეში სახეტიალოდ.

წელიწადში ორჯერ, აპრილში და ოქტომბერში, მშვენიერი გენერალური კონფერენციის მსვლელობისას, ჩვენ გვეძლევა საშუალება, გავიგონოთ უფლის ხმა მისი მსახურების მეშვეობით.

მე პირადად ვმოწმობ იმაზედ, რომ დიდი ხნით იმაზე ადრე, ვიდრე გამომსვლელი გამოივლის იმ გრძელ გზას ტრიბუნამდე, რათა სიტყვით გამოვიდეს კონფერენციაზე, იგი იჩენს უზარმაზარ ძალისხმევას, ბევრს ლოცულობს და სწავლობს, რათა შეასრულოს დავალება და მოგვმართოს სიტყვით. კონფერენციის ყოველი გზავნილი წარმოადგენს მომზადებისა და გულითადი ვედრების უთვალავ საათს იმისთვის, რათა გასაგები გახდეს, რა სურს უფალს, რომ გაიგონონ მისმა წმინდანებმა.

რა შეიძლება მოხდეს, თუ ჩვენ, როგორც მსმენელები, შევუსაბამებთ გამომსვლელის მომზადებას ჩვენს საკუთარ მომზადებას? როგორ შეიცვლება ჩვენი მიდგომა გენერალური კონფერენციის მიმართ, თუ ჩვენ შევხედავთ მას, როგორც თავად უფლისგან გზავნილის მიღების საშუალებას? გენერალური კონფერენციის სიტყვებისა და მუსიკის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია დაველოდოთ პირად პასუხს ნებისმიერ პრობლემაზე, რომლის წინაშეც ვდგავართ.

თუ ოდესმე დაინტერესებულხართ, ნამდვილად გესაუბრათ მამაზეციერი თუ არა, მე შეგახსენებთ უბრალო, თუმცა აბსოლუტური ჭეშმარიტების სიტყვებს დაწყებითი საზოგადოებიდან: „[მე] შვილი ვარ ღვთისა, მან აქ გამომიშვა“. მისი მიზანია - დაგვეხმაროს, „შევუერთდეთ მას“.

თუ თქვენ უახლოდებით მამაზეციერს, როგორც მისი შვილი, შეგიძლიათ გულწრფელად სთხოვოთ მას: „გამიძეხ და გამიკვალე გზა სავალი მე. მასწავლე და დამეხმარე, შევუერთდე ღმერთს. იგი გესაუბრებათ სულიწმინდის მეშვეობით და ამის შემდეგ უკვე თქვენზეა დამოკიდებული „მისი ნების შესრულება“. მე გპირდებით, რომ თუ ასე მოიქცევით, „დიდი კურთხევები გელით“.[5]

უფლის მითითებანი დღეს ისევე აუცილებელია, როგორც ოდესმე ადრე მსოფლიო ისტორიაში. როცა უფლის სიტყვის მოსასმენად ვემზადებით, დაე, ბეჯითად ვეძიოთ ჭეშმარიტების სული, რამეთუ როცა უფალი დაიწყებს ჩვენთან საუბარს თავისი მსახურების მეშვეობით, ჩვენ შევძლოთ, ერთად გავიგოთ, გავნათლდეთ და გავიხაროთ.[6]

მე ვმოწმობ, რომ „თუ ასე მოვიქცევით, ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ დაგვძლევს; დიახ, და უფალი ღმერთი გაფანტავს ბნელ ძალებს ჩვენ წინ და შეაჯანსაღებს ზეცას ჩვენი სიკეთისა და მისი სახელის დიდებისთვის“.[7]

შენიშვნები

1. იხილე დაბადება 1:28.
2. ამოსი 3:7.
3. მოძღვრება და აღთქმები 21:5.
4. მოძღვრება და აღთქმები 1:38.
5. „მე შვილი ვარ ღვთისა“ საგალობლები, *ჰიმნები* no. 301; *Children's Songbook,* 2–3.301.
6. იხ. მოძღვრება და აღთქმები 50:21-22.
7. მოძღვრება და აღთქმები 21:6.

ამ მოწოდების სწავლება

გენერალური კონფერენციის დროს, ღმერთის მიერ დანიშნული მსახურების მოსმენისას, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ პირადი პასუხები კითხვებზე და პრობლემებზე. განიხილეთ მათთან, ვისაც ასწავლით, როგორ შეგიძლიათ, მოემზადოთ ასეთი პასუხების მისაღებად გენერალური კონფერენციის მსვლელობისას. პრეზიდენტი უხტდორფი გვაგულიანებს, „ბეჯითად ვეძიოთ ჭეშმარიტების სული“. რას ნიშნავს ეს და როგორ შეგიძლიათ ჩართოთ ეს თქვენს მომზადებაში? იმ დალოცვების გარდა, რაც ნახსენებია მოძღვრება და აღთქმებში 21:6, სხვა რა დალოცვები მოდის, როცა ემზადებით, მოისმინოთ უფლის ხმა მისი მსახურების მეშვეობით? შეგიძლიათ მოიპატიჟოთ ისინი, ვისაც ასწავლით, ჩაიწერონ დღიურში, რას ასწავლის მათ სულიწმინდა გენერალური კონფერენციის დროს.

ახალგაზრდები

მოვემზადოთ, გავიგონოთ ღმერთის ხმა

პრეზიდენტი უხთდორფი გვიხსნის, რომ პირველი, რაც ღმერთმა გააკეთა მას შემდეგ, რაც შექმნა ქალი და მამაკაცი - ესაუბრა მათ და მისცა მნიშვნელოვანი ინფორმაცია და რჩევები. ჩვენ ვიღებთ იმავე დალოცვებს აპრილისა და ოქტომბრის გენერალური კონფერენციების დროს, როცა ეკლესიის ხელმძღვანელები მოგვმართავენ და გვაძლევენ იმ რჩევას, რომელიც უფალს სურს, მოგვცეს.

ოდესმე თუ მოგისმენიათ ღმერთის ხმა მისი წინასწარმეტყველების მეშვეობით გენერალური კონფერენციის დროს? ოდესმე თუ გიგრძვნიათ, რომ ერთ განსაკუთრებულ გზავნილს მოუცია თქვენთვის პასუხი, რომელსაც ეძებდით? დღიურში შეგიძლიათ ჩაიწეროთ ეს გამოცდილება და თუ როგორ დაგეხმარათ ის. შემდეგ მოემზადეთ, გაიგონოთ უფლის ხმა ამ მომავალ კონფერენციაზე. ამისთვის ჩაიწერეთ კითხვები, რომლებიც გაგიჩნდათ წმინდა წერილის სწავლის დროს. ილოცეთ მამაზეციერისადმი, სთხოვეთ მას, მოგცეთ პასუხები და შთაგონება ამ კონფერენციის დროს. უფლის მსახურების მოსმენისას, მთელი ყურადღება გადაიტანეთ ინდივიდუალურ კარნახებზე. რა ისწავლეთ? როგორ იგრძენით შთაგონება იმისთვის, რომ შეიცვალოთ? ჩაიწერეთ ეს კარნახები, რადგან ეს სულიწმინდა გესაუბრებათ!

ყოველთვის გახსოვდეთ, რომ მამაზეციერს უყვარხართ და იგი სწორი მიმართულებით წაგიყვანთ. როცა ცდილობთ, გაიგონოთ უფლის ხმა წინასწარმეტყველების მეშვეობით, თქვენ მიიღებთ დალოცვას და განათლდებით.

ბავშვები

მოემზადეთ კონფერენციისთვის!

ჩაწერეთ კარნახი ფურცელზე. კონფერენციის დროს თან იქონიეთ ფურცელი, რათა შეძლოთ, ჩაიწეროთ, რა ისწავლეთ.

ჩაიწერეთ შეკითხვები. მე მაინტერესებს . . .

ილოცეთ მამაზეციერისადმი. მე მჭირდება დახმარება, რათა გავიგო, . . .

მოუსმინეთ გენერალურ კონფერენციას. მე გავიგე . . .

© 2018 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი *First Presidency Message, March 2018*. Georgian. 15049 131

ილოცეთ ცალ-ცალკე ყოველი დისთვის

ჩვენი სიყვარული და მთაგონება მათ მიმართ, ვისაც ვსტუმრობთ, გაიზრდება, როცა ჩვენ მორჩილად ვილოცებთ ცალ-ცალკე ყოველი დისთვის.

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

წმინდა წერილში მრავალი მაგალითია მამაკაცებისა და ქალების, რომლებიც სხვებისთვის ცალ-ცალკე ლოცულობდნენ. ყველაზე დრამატულია ალმა უმცროსის მამის მაგალითი. ანგელოზმა მიმართა ალმა უმცროსს და უთხრა მას, რომ მისმა მამამ ბევრი ილოცა მისთვის . . . ; ასე რომ, იმის გამო მოვედი, რომ დაგარწმუნო ღმერთის ძალასა და უფლებამოსილებაში, რომ მისი წმინდანების ლოცვებზე პასუხი იქნას მიღებული მათი რწმენის შესაბამისად“ (მოსია 27:14).

ერთმანეთისთვის ლოცვა გვიხსნის გულს იმისთვის, რომ მივიღოთ დალოცვები, რომელიც უფალს სურს, გვიბოძოს. „ლოცვის საგანი არა უფლის ნების შეცვლაა, არამედ ის, რომ შევინარჩუნოთ ის დალოცვები ჩვენთვის და სხვებისთვის, რაც ღმერთს უკვე სურს, რომ გვიბოძოს, მაგრამ მათ მისაღებად უნდა ვითხოვოთ ისინი“.[1]

ერთმა დამ აღნიშნა, რომ ცხოვრებაში მძიმე პერიოდის დროს სატელეფონო ზარი ან მესიჯი ხშირად მოდიოდა მისი სტუმრად მოსული მასწავლებლებისგან ყველაზე „ბნელ დღეს“. თითქოს იცოდნენ, როდის სჭირდებოდა მას მხარდაჭერა. მან იცოდა, რომ ისინი ლოცულობდნენ მისთვის, როგორც სტუმრობისას, ისე დამოუკიდებლად.

ჯული ბ. ბექმა, ყოფილმა მოწყალების საზოგადოების გენერალურმა პრეზიდენტმა, თქვა: „დაფიქრდით ჩვენს ერთოგლივ ძალაზე, თუ ყოველა და, გულწრფელად ილოცებს ყოველ დილას და საღამოს, უფრო მეტიც - თუ განუწყვეტლივ ილოცებს, როგორც ეს უფალმა გვიბრძანა“.[2] როცა ვლოცულობთ მათთვის, ვისთანაც ვსტუმრობთ, ჩვენ ვძლიერდებით პიროვნულადაც და როგორც უკანასკნელ დღეთა წმინდანი ქალები.

პრეზიდენტმა ჰენრი ბ.აირინგმა, პირველი პრეზიდენტობის პირველმა მრჩეველმა, თქვა: „ილოცეთ, რათა შეიტყოთ, რა ხერხით შეიცნოთ მათი გული. . . . უნდა იცოდეთ, რა სურს თქვენგან ღმერთს, თუ რა გააკეთოთ მათ დასახმარებლად, ამისთვის კი, რაც შეიძლება მეტად, ღვთის სიყვარული უნდა იგრძნოთ მათ მამირთ“.[3]

შენიშვნები

1. Guide to the Scriptures, “Prayer.”
2. Julie B. Beck, “What Latter-day Saint Women Do Best: Stand Strong and Immovable,” *Liahona*, Nov. 2007, 110.
3. Henry B. Eyring, “The Comforter,” *Liahona*, მაისი 2015, 85.

განიხილეთ შემდეგი

რა შთაგონებები და იდეები დაგებადათ, როცა ლოცულობდით თითოეულ დაზე, რომელსაც სტუმრობთ?

მსახურება

როცა ყოველ დაზე ცალ-ცალკე ვლოცულობთ, ჩვენ მივიღებთ პირად შთაგონებას იმაზედ, თუ როგორ დავაკმაყოფილოთ ყოველი დის საჭიროებანი.

© 2018 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი *Visiting Teaching Message, January 2018*. Georgian. 15049 131